

ფიზიკის საგამოცდო ტესტის შეფასების სქემა

დავალებები 1-35-ის პასუხები:

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18
ს				x		x		x	x									
ბ	x													x		x		
გ		x					x			x					x			
ღ				x								x	x			x	x	
ი			x							x								

	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35
ს									x		x				x		
ბ	x							x			x		x				
გ		x							x						x		
ღ			x		x												
ი		x			x		x					x				x	

ყოველი სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, ხოლო მცდარი პასუხი - 0 ქულით.

დავალება 36. (5 ქულა)

შეუსაბამეთ ციფრებით დანომრილ ფიზიკურ სიდიდეებს ასოებით დანომრილი ერთეულები და შეავსეთ ცხრილი.

- | | |
|------------------------|--------------|
| 1. ემ ძალა | ა. ჯოული |
| 2. ძალა | ბ. კილოგრამი |
| 3. სითბოს რაოდენობა | გ. ვოლტი |
| 4. სიმძლავრე | დ. ნიუტონი |
| 5. ხახუნის კოეფიციენტი | ე. ვატი |
| 6. ძაბვა | ვ. კელვინი |

	1	2	3	4	5	6
ა			X			
ბ						
გ	X					X
დ		X				
ე				X		
ვ						

მიღებული ქულა უდრის სწორი სვეტების რიცხვს მინუს ერთი. სწორი სვეტები ისეთია, როგორიც მოყვანილ ცხრილშია. განსხვავებული სვეტები მცდარია.

დავალება 37. (5 ქულა)

ელექტრონი v სიჩქარით შეფრინდა B ინდუქციის მაგნიტურ ველში ძალწირების მართობულად და მოძრაობა დაიწყო R რადიუსის წრეწირზე. e -ელექტრონის მუხტის მოდულია, m - ელექტრონის მასაა, E -ელექტრონის კინეტიკური ენერგიაა, F -მაგნიტურ ველში ელექტრონზე მოქმედი ძალაა, T -წრეწირზე ბრუნვის პერიოდი. შეუსაბამეთ ციფრებით დანომრილ გამოსახულებებს ასოებით დანომრილი სიდიდეები და შეავსეთ ცხრილი.

- | | |
|--------------------|--------|
| 1. $\sqrt{2mE}/eB$ | a. v |
| 2. $2E/R$ | b. B |
| 3. $eBRv/2$ | c. R |
| 4. $2\pi m/eB$ | d. E |
| 5. eBR/m | e. F |
| 6. $FT/2\pi eR$ | f. T |

	1	2	3	4	5	6
ა					X	
ბ						X
გ	X					
დ			X			
ე		X				
ვ				X		
ზ					X	

მიღებული ქულა უდრის სწორი სვეტების რიცხვს მინუს ერთი. სწორი სვეტები ისეთია, როგორიც მოყვანილ ცხრილშია. განსხვავებული სვეტები მცდარია.

დავალება 38. (3 ქულა)

45°-ით დახრილ არაგლუვ სიბრტყეზე ძელაკი ჩამოსრიალდა T დროში. სიბრტყე გლუვი რომ ყოფილიყო, ის იმავე ადგილიდან ჩამოსრიალდებოდა T/2 დროში. განსაზღვრეთ ხახუნის კოეფიციენტი ძელაკისა და სიბრტყის ზედაპირებს შორის. ორივე შემთხვევაში საწყისი სიჩქარე ნულის ტოლია.

ამოხსნა:

$$s = \frac{a_1 T^2}{2}, \text{ სადაც } a_1 = g(\sin 45^\circ - \mu \cos 45^\circ).$$

$$s = \frac{a_2 (T/2)^2}{2}, \text{ სადაც } a_2 = g \sin 45^\circ.$$

ამ განტოლებებიდან მიიღება, რომ $\mu = 0,75$.

მოყვანილია გავლილი მანძილის ფორმულები ორივე შემთხვევაში - 1 ქულა;


მოყვანილია აჩქარების ფორმულები ორივე შემთხვევაში - 1 ქულა;

გამოყენებულია გავლილი მანძილების ტოლობა და

მიღებულია სწორი პასუხი - 1 ქულა.

დავალება 39. (5 ქულა)

ნახატზე გამოსახულ სქემაში დენის წყაროს შიგა წინაღობა 1 ომი, ხოლო მასში გამავალი დენის ძალა 3 ამპერია. განსაზღვრეთ:



- 1) გარე წრედის წინაღობა;
- 2) R_1 წინაღობაში გამოყოფილი სიმძლავრე;
- 3) დენის ძალა R_5 წინაღობაში;
- 4) დენის წყაროს ემ ძალა;
- 5) 1 წამში დენის წყაროს დახარჯული ენერგია.


ამოხსნა:

- 1) $R' = \frac{R_1}{3} = 2 \text{ ohm}$, $R'' = \frac{R_5 R_6}{R_5 + R_6} = 4 \text{ ohm}$, $R = R' + R_4 + R'' = 11 \text{ ohm}$.
- 2) $P_1 = I_1^2 R_1 = (I/3)^2 R_1 = 6 \text{ J}$.
- 3) $I_5 + I_6 = I$, $\frac{I_5}{I_6} = \frac{R_6}{R_5} = 2 \Rightarrow I_5 = \frac{2I}{3} = 2 \text{ A}$.
- 4) $\mathcal{E} = I(R+r) = 36 \text{ V}$.
- 5) $W = I \mathcal{E} t = 108 \text{ J}$.

ხუთი დავალებიდან თითოეული ფასდება 1 ქულით. ვპატიობთ ერთ რიცხვით შეცდომას. არ ვპატიობთ შეცდომას ერთეულში. თუ მომდევნო შეცდომა წინა შეცდომის შედეგია, მას შეცდომად არ ვთვლით.

დავალება 40. (5 ქულა)

3m მასის ძელაკი k სიხისტის ჰორიზონტალური ზამბარით მიმაგრებულია კედელთან (იხ. ნახ.). თავდაპირველად ძელაკი უძრავია, ხოლო ზამბარა არაა დეფორმირებული. ამ ძელაკს ეჯახება და ეწებება ზამბარის გასწვრივ ვ სიჩქარით მოძრავი მ მასის ძელაკი. დაჯახების დრო ძალზე მცირეა, ამიტომ დაჯახების პროცესში ზამბარა ვერ ასწრებს შეკუმშვას. ხახუნი უგულებელყავით. განსაზღვრეთ:



- 1) ძელაკების სიჩქარე დაჯახების ბოლოს;
- 2) ზამბარას მაქსიმალური შეკუმშვა;
- 3) დაჯახების მომენტიდან რა დროში შეიკუმშება ზამბარა მაქსიმალურად;
- 4) საწყისი ენერგიის რა ნაწილია დაჯახებისას გამოყოფილი სითბოს რაოდენობა;
- 5) რამდენით გათბა ძელაკები, თუ თავდაპირველად მათი ტემპერატურები ერთნაირია, ხოლო მათი ნივთიერების კუთრი სითბოტევადობაა c. ჰაერში სითბოს დანაკარგები უგულებელყავით.

ამოხსნა:

$$1) mv = 4mu \Rightarrow u = v/4 \quad (1 \text{ ქულა})$$

$$2) \frac{4mu^2}{2} = \frac{kx^2}{2}, \quad x = u\sqrt{\frac{4m}{k}} = \frac{v}{2}\sqrt{\frac{m}{k}} \quad (1 \text{ ქულა } \text{მიუხედავად } \text{იმისა, } \text{ჩასვა } \text{თუ } \text{არა } u-\text{ს} \\ \text{გამოსახულება})$$

$$3) t = \frac{T}{4} = \frac{\pi}{2}\sqrt{\frac{4m}{k}} = \pi\sqrt{\frac{m}{k}} \quad (1 \text{ ქულა})$$

$$4) E_1 = \frac{mv^2}{2}, \quad E_2 = \frac{4mu^2}{2} = \frac{mv^2}{8}, \quad Q = E_1 - E_2 = \frac{3mv^2}{8}, \quad \frac{Q}{E_1} = \frac{3}{4} \quad (1 \text{ ქულა } \text{მიუხედავად } \text{იმისა, } \text{ჩასვა } \text{თუ } \text{არა } u-\text{ს} \\ \text{გამოსახულება})$$

$$5) Q = 4cm\Delta t, \quad \Delta t = \frac{Q}{4cm} = \frac{3v^2}{32c} \quad (1 \text{ ქულა } \text{მიუხედავად } \text{იმისა, } \text{ჩასვა } \text{თუ } \text{არა } Q-\text{ს} \\ \text{გამოსახულება})$$

დავალება 41. (5 ქულა)

v მოლი ერთატომიანი იდეალური აირის მდგომარეობა იცვლება კანონით $V^2 = \alpha T$, სადაც V აირის მოცულობაა, T აბსოლუტური ტემპერატურაა, ხოლო α მოცემული მუდმივაა. აირის საწყისი მოცულობაა V_0 , ხოლო საბოლოო - $3V_0$. იდეალური აირის უნივერსალური მუდმივაა R . ერთატომიანი იდეალური აირის შინაგანი ენერგია განისაზღვრება ფორმულით $U = \frac{3}{2}vRT$. განსაზღვრეთ:

- 1) α კოეფიციენტის ერთეული საერთაშორისო სისტემაში;
- 2) რამდენჯერ შეიცვალა აირის აბსოლუტური ტემპერატურა;
- 3) აირის წნევის მოცულობაზე დამოკიდებულების $p(V)$ კანონი;
- 4) აირის შესრულებული მუშაობა;
- 5) აირის მიღებული სითბოს რაოდენობა.

ამოხსნა:

$$1) [\alpha] = \frac{\text{°}^6}{\text{K}} \quad (1 \text{ ქულა})$$

$$2) \frac{T_2}{T_1} = \frac{V_2^2}{V_1^2} = 9 \quad (1 \text{ ქულა})$$

$$3) pV = vRT, V^2 = \alpha T \Rightarrow p = \frac{vR}{\alpha}V \quad (1 \text{ ქულა})$$

$$4) A = \frac{p_1 + p_2}{2}(V_2 - V_1) = \frac{vR}{2\alpha}(V_2^2 - V_1^2) = \frac{vR}{2\alpha}(9V_0^2 - V_0^2) = \frac{4vRV_0^2}{\alpha} \quad (1 \text{ ქულა})$$

$$5) Q = \Delta U + A, \Delta U = \frac{3}{2}vR(T_2 - T_1) = \frac{3vR}{2\alpha}(V_2^2 - V_1^2) = \frac{12vRV_0^2}{\alpha}, Q = \frac{16vRV_0^2}{\alpha}$$

(1 ქულა მიუხედავად იმისა, ჩასვა თუ არა A -ს გამოსახულება)